№1300 2015 წლის 23 ივნისი ქ. თბილისი

„სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის თავდაცვის მინისტერიალის პროცესის ფარგლებში საკოორდინაციო კომიტეტის შექმნის შესახებ“ შეთანხმების საქართველოს პარლამენტში შეერთებისათვის წარდგენისა და ბ. ლოლაძისა და გ. ამანათიძის მომხსენებლებად დანიშვნის თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების მოწონების შესახებ

1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 7^3 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, მოწონებულ იქნეს „სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის თავდაცვის მინისტერიალის პროცესის ფარგლებში საკოორდინაციო კომიტეტის შექმნის შესახებ“ შეთანხმების საქართველოს პარლამენტში შეერთებისათვის წარდგენისა და ბ. ლოლაძისა და გ. ამანათიძის მომხსენებლებად დანიშვნის თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2015 წლის 19 ივნისის N207 ბრძანებულება.

2. განხორციელდეს ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების კონტრასიგნაცია.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**